საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 22 0000419109

26/04/2022

„შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის №890033 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის №890033 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და პროგრამის დასახელების ცვლილების თაობაზე“;

1.2. გადაწყვეტილებისსარეზოლუციო ნაწილს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტი:

- პროგრამის დასახელებად განისაზღვროს: „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“;

1.3. გადაწყვეტილების დანართ N1-ში დამატებით მიეთითოს საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება: საბუღალტრო აღრიცხვა.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 26 აპრილის №418567 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ 2 საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო 1 დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი N1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 11 აგვისტოს №679096 გადაწყვეტილება
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, წერეთლის ქ. N13
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 08 აპრილი

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 10 აგვისტო